GEO-18-006

მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია 2018 წლის 01 ივნისს ქვემოთ მოცემულ მხარეებს შორის:

შპს „ჯეოსელი“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გოთუას ქ #3, მტკვრის მარჯვენა სანაპირო

საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940

ბანკი: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE22

საანგარიშსწორებო ანგარიშის # GE64TB0600000077467777

წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, დავით მამულაიშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“),

შპს „სისტემ ნეტ“

მისამართი: თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას #42

საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423

ბანკი: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE22

საანგარიშსწორებო ანგარიშის #GE64TB0624936070100001

წარმოდგენილი მისი დირექტორის ილია ინჯია სახით (შემდგომში „სისტემ ნეტ“)

(„დამკვეთი“ და „სისტემ ნეტი“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები”, ხოლო ცალ-ცალკე – როგორც „მხარე”)

1. „ხელშეკრულების“ საგანი და „მომსახურების“ გაწევა

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ და მისი დანართი N 1-ის საფუძველზე, „სისტემ ნეტი” უზრუნველყოფს დანართი N1-ში მითითებულ მისამართზე N1 დანართით გათვალისწინებული “ჯეოსელის” ანტენებისა და მოწყობილობების განთავსებას და მათ შეუფერხებელ მუშაობას/ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული მომსახურების (რაც მოიცავს, მათ შორის, ცვლადი ელექტროენერგიის მიწოდებას) გაწევას (შემდგომში „მომსახურება“).

1.2. მხარეთა შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ნებართვას/თანხმობას მოიპოვებს „ჯეოსელი“.

2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 1 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ არ მოხდება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

2.2. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურებისათვის“ „დამკვეთი“ „სისტემ ნეტს“ ყოველთვიურად უხდის 333.00 (სამას ოცდაცამეტი) ლარს, დღგ-ს გარეშე, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N42-ში მდებარე შენობა N5 -ის სახურავზე განთავსებული ყოველი ერთი ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენისთვის, ჯამში განთავსებული 4 (ოთხი) ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენისთვის 1333.00 (ათასსამასოცდაცამეტი) ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო შენობა N3 -ის მეოთხე სართულზე ოთახში განთავსებული აპარატურისთვის 21.00 (ოცდაერთი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, დღგ-ს გარეშე, ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული თანხა მოიცავს N5 შენობა სახურავზე „ჯეოსელის“ ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენების და N3 შენობის მეოთხე სართულზე განთავსებული აპარატურისთვის უძრავი ქონების დროებით სარგებლობის საფასურსაც.

2.2.1. დანართი N1-ით გათვალისწინებული ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენების და მოწყობილობების კომუნალური მომსახურებისთვის „დამკვეთი“ „სისტემ ნეტს“ ყოველთვიურად უხდის 525.00 (ხუთას ოცდახუთი) ლარს, დღგ-ს გარეშე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთი“ უზრუნველყოფს საკუთარ მოწყობილობაზე ელექტრომრიცხველის დამონტაჟებას, “ჯეოსელის“ ელექტროენერგიის საფასური გამრავლდება ელექტრომომსახურების 1.5.%-ზე (მაღალი ძაბვის ტრანსპორტირება ქალაქის ქვესადგურიდან „სისტემ ნეტის“ ტერიტორიამდე, სატრანსფორმატორო მომსახურება-ძაბვის დადაბლება, დიზელ-გენერატორით

203841940

მომსახურება ძაბვის გათიშვის შემთხვევაში).

2.2.2. დამკვეთის მიერ „ანაზღაურების“ გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის ბოლოს მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა უნაღდო ანგარიშსწორებით, „სისტემ ნეტ“-ის ზემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ვალუტაში განსაზღვრული მომსახურების საფასური გადაიხდება საანგარიშსწორებო ვალუტის ექვივალენტით ლარში, თვის ბოლო დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3. „მხარეთა“ უფლება–მოვალეობები.

3.1. დამკვეთი ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესაბამისი „ანაზღაურების“ გადახდა ამ „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლის დებულებების შესაბამისად.

3.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.1.3. 2018 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით მოახდინოს უკვე განთავსებული 8 (რვა) სარელეო ანტენის დემონტაჟი. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „ჯეოსელს“ დაერიცხება 2.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გადასახადი.

3.2. „სისტემ ნეტ“ ვალდებულია:

3.2.1. „მომსახურება“ გასწიოს სრულად და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვადებში.

3.2.2. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

3.3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.3.1. შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ „სისტემ ნეტისთვის” 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

3.3.2. გამოიყენოს „ხელშეკრულებით“ და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.3.3. „მომსახურების“ შესრულების პერიოდში შეამოწმოს „მომსახურების“ გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ.

3.3.4.

3.4. „სისტემ ნეტ“ უფლებამოსილია:

3.4.1. გამოიყენოს ამ „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4.2. შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

4. მარეგულირებელი კანონმდებლობა

4.1. წინამდებარე “ხელშეკრულება” რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ამ “ხელშეკრულებასთან”, ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება “მხარეებს” შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ “ხელშეკრულებასთან”, ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება “მხარეებს” შორის მოლაპარაკების გზით, ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

5. მხარეების პოლიტიკა

5.1. მხარეები აცხადებენ, იძლევიან გარანტიას და ადასტურებენ რომ:

5.1.1. მათთვის ცნობილია „მხარეების“ პოლიტიკა, რომელიც მკაცრად კრძალავს როგორც მხარის, ასევე მონათესავე საწარმოს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების, სარგებელის ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

5.1.2. მხარეებს (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებულ პირს ან/და მის მონათესავე საწარმოს:

5.1.2.1. “მეორე მხარესთან” დაკავშირებული არცერთი ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან/და ანაზღაურება

5.1.2.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი მონათესავე საწარმოს ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

5.2. მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებენ ერთმანეთს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მხარეების პოლიტიკასთან ან/და გამოიწვიოს ამ გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

5.3. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ მხოლოდ მხარის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებენ და შეასრულებენ ამ ხელშეკრულებას.

6. საერთო პირობები

6.1. რომელიმე „მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა „მხარეების“ მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება „ხელშეკრულების“ ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) „მხარის“ უფლებაზე “ხელშეკრულების”

Geocell 203841940

შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

6.2. წინამდებარე „ხელშეკრულება“, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება „მხარეთა“ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

6.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით, ხელი მოეწეროს „მხარეთა“ (ან მათი) უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ “ხელშეკრულებით” (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

6.5. წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართები წარმოადგენენ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

6.6. წინამდებარე “ხელშეკრულების” საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.

6.7. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ „მხარეებს“.

შპს „ჯეოსელი“	შპს „სისტემ ნეტ“
გენერალური დირექტორი	დირექტორი
დავით მამულაიშვილი	ილია ინჯია

N 1 დანართი
მომსახურების აღწერილობა

მომსახურების ადგილი:

მისამართი	კოორდინატები
ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას #42 შენობა #5 მიწის საკადასტრო კოდი:	41.721417° 44.703850°

განსათავსებელი მოწყობილობის ტიპი:

აპარატურის დასახელება	რაოდენობა
გამმართველი -48 Emerson (ოთახი)	1
საბაზო სადგური Ericsson 6201(ოთახი)	1
აკუმულატორი SHOTO EMFX 100 AH (ოთახი)	8
ფიჭური კავშირგაბმულობის სექტორული ანტენა Huawei ATR4517R3 (სახურავი)	4

მოდელი	სიხშირე (MH)	დაკიდების სიმაღლე	ანტენის გაშლა	აზიმუტი
ATR4517R3	1800/2100	15	1	40
ATR4517R3	1800/2100	15	2	90
ATR4517R3	1800/2100	15	-1	180
ATR4517R3	1800/2100	15	0	270

შპს „ჯეოსელი"

გენერალური დირექტორი
დავით მამულაიშვილი

შპს „სისტემ ნეტ"

დირექტორი
ილია ინჯია

ჯეოსელი

პოლიტიკა

გვერდი
1 (10)

საიდენტიფიკაციო ნომერი
T 19086-14 GEO

ვერსია
2

მიღებულია
2017-04-12

მიღებულია
პაველ სმალინსკი
გენერალური დირექტორი

უფლებამოსილი პირი
ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ჯეოსელის მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი

ეს მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი შემუშავებულია თელია კომპანი ჯგუფის მიმწოდებელთა ქცევის კოდექსისა და "ჯეოსელის" შესყიდვების პოლიტიკის საფუძველზე.

"ჯეოსელი", როგორც "თელია კომპანის" ჯგუფის წევრი, საქართველოში სატელეკომუნიკაციო მომსახურების წამყვანი პროვაიდერი და სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ ვეწევით მომსახურებას, რომელიც საჭირო დროს და ადგილზე ხალხს და კომპანიებს მარტივად და ეფექტურად კომუნიკაციაში ეხმარება. ჩვენი ღირებულებები "გაბედე, იზრუნე და გაამარტივე" ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის საფუძველია.

ჩვენი მიზანია გავხდეთ მსოფლიო კლასის მომსახურების კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას და ქსელებს. "ჯეოსელი" გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების "გლობალ კომპაქტის" ხელმომწერი წევრია და ნაკისრი აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) "მულტინაციონალური კომპანიების შესახებ" სახელმძღვანელო პრინციპების შესრულების პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი" მივიღეთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ როგორც ჩვენ, ასევე ჩვენმა მიმწოდებლებმაც იცოდნენ კორპორაციულ მდგრადობასთან დაკავშირებით ჩვენი მოლოდინები და თვალსაზრისი.

წინამდებარე "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი" შესაბამისობაშია "ჯეოსელის პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის ქცევის კოდექსთან" და ეფუძნება შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებებს: "გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას", შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს, კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციას და "გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციას".

ინფორმაცია კომპანიაზე

შპს ჯეოსელი
რეგისტრირებული ოფისი: გოთუას ქ. N3, თბილისი, 0160, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940

ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ დანართებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს

"ჯეოსელი" და ყველა მისი თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს ჩვენი "პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის ქცევის კოდექსი". აგრეთვე, "ჯეოსელის" ყველა მიმწოდებელი ვალდებულია, როგორც მინიმუმ, შეასრულოს "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის" მოთხოვნები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე მოცემული ქვეყნის ადგილობრივი კანონებით ან ნორმატიული აქტებით დადგენილი სტანდარტი.

წინამდებარე "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი" გამოიყენება ყველა იმ კომპანიის მიმართ, რომლებიც "ჯეოსელს" აწვდიან პროდუქტებს ან/და უწევენ მომსახურებას, მათ შორის, მიმწოდებლებისა და მათი ქვეკონტრაქტორების თანამშრომლებსა და კონსულტანტებს, მიუხედავად იმისა, ისინი უვადოდ არიან დასაქმებული თუ დროებით, უშუალო დასაქმებულები არიან თუ არა ან მათზე უშუალო ხელმძღვანელობა ხორციელდება თუ არა.

"ჯეოსელი" და ცალკეული მიმწოდებელი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით კონკრეტულ მოთხოვნებზე, თუ ეს საჭირო ან აუცილებელია. "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი" ყოველთვის გათვალისწინებულია ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს პროცედურა "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსთან" შესაბამისობის დასადასტურებლად და მოთხოვნისთანავე მონაწილეობა მიიღოს "ჯეოსელის" მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების პროცესში. "ჯეოსელს" აქვს უფლება შეამოწმოს, როგორ ასრულებს მიმწოდებელი და ქვეკონტრაქტორები "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსს" ან შესაბამის მოთხოვნებს. "ქცევის კოდექსთან" გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია "ჯეოსელს" დასამტკიცებლად წარმოუდგინოს გამოსწორების სამოქმედო გეგმა.

მიმწოდებელი ვალდებულია გამუდმებით თვალყური ადევნოს "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის" ცვლილებებსა და დამატებებს. "ჯეოსელი" "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსში" შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს განათავსებს შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე: https://geocell.ge/ge/company/polices

1. სოციალური მოთხოვნები

1.1. ადამიანის უფლებები

- მიმწოდებლის ან მისი ქვეკონტრაქტორის მიერ დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა მოეპყრან პატივისცემითა და ღირსების დაცვით და მათ უნდა შეეძლოთ ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობა. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისთვის პირდაპირ თუ ირიბად მომუშავე ყველა თანამშრომელმა იცოდეს ეს უფლებები და ესმოდეს მათი შინაარსი.
- გამოხატვის თავისუფლებისა და თანამშრომლების, კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
- მრავალფეროვნებას ხელი უნდა შეეწყოს. აკრძალულია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით და კერძოდ ეთნიკური, სქესობრივი, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ოჯახური, სოციალური თუ მშობლის სტატუსით, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, ეროვნების, შრომისუუნარობის, ასაკის ან საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის ნიშნით.
- დაუშვებელია იმ პირის დასაქმება, რომლის ასაკიც სამუშაოზე მოწყობის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკზე მცირეა. სასტიკად აკრძალულია მიმწოდებლების, ქვეკონტრაქტორების ან დროებითი დასაქმების სააგენტოების მიერ ბავშვებისა და სამუშაოზე მოწყობის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკზე უფრო პატარა ან თხუთმეტ (15) წლამდე (ამ ორიდან ასაკიდან, რომელიც უფრო მაღალია) მცირეწლოვნების გამოყენება სამუშაოს შესასრულებლად. 18 (თვრამეტ) წლამდე დასაქმებულებმა არ უნდა იმუშაონ

ღამის სამუშაოზე და არ უნდა შეასრულონ საშიში ან მძიმე სამუშაო.

- "ჯეოსელისათვის" იმ პროდუქტების მიმწოდებლები, რომლებიც შეიცავს კალას, ვოლფრამს, ტანტალიტს ან/და ოქროს, ვალდებული არიან იქონიონ მკაფიო პოლიტიკა ყველა კონფლიქტურ წიაღისეულთან დაკავშირებით და უზრუნველყონ მათი წარმოშობის დადგენა.

1.2. შრომითი უფლებები

- მომწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს: სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, შეტყობინების წარდგენის ვადა, ხელფასი და გადახდის სიხშირე.
- ჩვეულებრივი სამუშაო კვირა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს, ხოლო ზეგანაკვეთური შრომა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს კვირაში, თუ კოლექტიური შრომის ხელშეკრულებებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება ისარგებლონ შვიდდღიან პერიოდში სულ მცირე ერთი დასვენების დღით მაინც.
- შრომის ანაზღაურება და პირობები უნდა იყოს სამართლიანი და აკმაყოფილებდეს ძირითად საჭიროებებს, რაც არ უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები და უნდა მოიცავდეს დახმარებებს და შეღავათებს. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების განაკვეთები უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივ სახელფასო განაკვეთებს.
- დასაქმებულებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი დასაქმების პირობებისა და უფლებების შესახებ და მათ სრულად უნდა ესმოდეთ ეს პირობები. დასაქმებულები წახალისებულნი უნდა იყვნენ გამოიყენონ მხილების მექანიზმები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი

პრობლემის შესახებ გამოთქვან დასჯის ან ანგარიშსწორების შიშის გარეშე.

- სამსახურებრივი მოვალეობები, მათ შორის, დოკუმენტურად ასახული საშიში სამუშაოები, დადგენილი უნდა იყოს, უნდა ხდებოდეს მათი განახლება და ყველა დასაქმებულისა და კონსულტანტისთვის გაცნობა. ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს წვდომა ისეთ ძირითად საშუალებებზე, როგორიცაა სასმელი წყალი, ტუალეტები და ადეკვატური დასვენების ოთახები ან საერთო საცხოვრებელი ფართები, რომლებიც სუფთაა, უსაფრთხოა და შეესაბამება დანიშნულებას.
- იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა სასტიკად აკრძალულია. დასაქმებულებს არ მოეთხოვებათ დეპოზიტების შეტანა ან პირადობის დამადასტურებელი ან ეკვივალენტური დოკუმენტების ორიგინალების დამსაქმებლისათვის შესანახად გადაცემა. დასაქმებულებს აქვთ თავისუფლად გადაადგილების უფლება და არასამუსაო საათებში სამუშაო ადგილის დატოვების შესაძლებლობა.
- არავინ უნდა დაექვემდებაროს ფიზიკურ სასჯელს, უკანონო დაკავებას, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სიტყვიერ შევიწროებას ან შეურაცხყოფას. დისციპლინური სასჯელის სახით თანხის ხელფასიდან დაქვითვა დაუშვებელია.
- ყველა დასაქმებულს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს პროფესიული კავშირი, გაწევრიანდეს ან არ გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირში ან მსგავს ორგანიზაციებში და დადოს კოლექტიური ხელშეკრულება.

1.3. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- მშენებლობის, საველე ტექმომსახურების, სარემონტო და ქსელის გაშვების მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: ჩაკეტილ სივრცეში მუშაობა; დაკიდულ კონსტრუქციებზე მუშაობა/აწევის სამუშაოები; მიწის/სამოქალაქო მშენებლობის/სამშენებლო სამუშაოები; რადიო სიხშირესთან დაკავშირებული სამუშაოები; ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; სიმაღლეზე მუშაობა; ავტომანქანის მართვა (როდესაც სამუშაოს აუცილებელი ნაწილია) უნდა შეესაბამებოდეს

OHSAS (სამრეწველო უსაფრთხოების და ჯანმრთელობის შეფასების სისტემის) 18001 ან ეკვივალენტურ სტანდარტს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მომწოდებელმა "ჯეოსელს" უნდა წარმოუდგინოს ეკვივალენტი სტანდარტის განხორციელების გეგმა.

- მიმწოდებლის სამუშაო ადგილზე უნდა იყოს ნორმალური სამუშაო პირობები და ეს გარემო უნდა იყოს უსაფრთხო და ჯანმრთელი, მათ შორის, ჯანმრთელი როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დასაქმებულებს უნდა გადაეცეთ სათანადო ინფორმაცია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ და ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრეინინგი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის და არა მხოლოდ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოება, ქიმიური ნივთიერებებისა და მანქანა-დანადგარების სწორად გამოყენება, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და პირველადი დახმარება.
- მიღებული უნდა იყოს სათანადო ზომები ფიზიკური ტრავმებისა და აგრეთვე ფსიქო-სოციალური დაავადებების თავიდან ასაცილებლად და საშიში სამუშაო გარემოსათვის დამახასიათებელი მიზეზების შესამცირებლად. მომწოდებელმა დასაქმებულები უფასოდ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ფიზიკური ინციდენტები და უბედური შემთხვევები, ისევე როგორც ფსიქოსოციალური დაავადებები დოკუმენტირებული უნდა იქნეს და ეცნობოს მიმწოდებლის ხელმძღვანელობას.

2. ანტიკორუფციული მოთხოვნები

- ყველა სახის კორუფცია, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოძალვა, მექრთამეობა, ფორმალობების დაჩქარებისთვის საკომისიოების გადახდა, ნეპოტიზმი, თაღლითობა და ფულის გათეთრება, მკაცრად აკრძალულია.
- არავის აქვს უფლება ვინმეს პირდაპირ თუ ირიბად შესთავაზოს, მოსთხოვოს,

მისცეს ან ვინმესგან მიიღოს პირადი თანხა, საჩუქარი[1] ან სარგებელი მიკერძოებული მოპყრობის სანაცვლოდ, რომლის მიზანია საქმიან გარიგებაზე ზემოქმედება ან პირადი ან საქმიანი უპირატესობის მოპოვება. ეს ნორმა მოიცავს "ჯეოსელის", მიმწოდებლისა და მისი ქვეკონტრაქტორების როგორც ოჯახის წევრებს, ასევე დასაქმებულებს.

- "ჯეოსელის" დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ შესყიდვის პროცესში და საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის საჩუქრის მიღება ან მიცემა. გარდა ამისა, "ჯეოსელის" დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ მიმწოდებლების პროდუქტებისა თუ მომსახურების რეკლამაში ან სარეკლამო მასალაში მონაწილეობის მიღება.
- "ჯეოსელის" შესყიდვების განყოფილების თანამშრომლებმა საჩუქრების მიღება ან მიცემა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ "ჯეოსელის" სახელით, თუ ამ საჩუქრებს აქვს მკაფიო საქმიანი მიზანი, შესაფერისია საქმიანი ურთიერთობის ბუნებისთვის და შეზღუდული ღირებულებისაა. ღონისძიებები ბიზნესთან უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული. ყველა საჩუქარი უნდა აღირიცხოს და იქნება "ჯეოსელის" საკუთრება.
- მიმწოდებლისათვის სავალდებულოა კეთილსინდისიერი კონკურენციის და ღია ბაზრის პრინციპების დაცვა. საქმიანი გადაწყვეტილებები პირადი ურთიერთობებით ან ინტერესებით არ უნდა იყოს მოტივირებული და არც ამგვარი ურთიერთობები ან ინტერესები უნდა ახდენდეს ზემოქმედებას ასეთ გადაწყვეტილებებზე.
- მიმწოდებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს საერთაშორისოდ აღიარებულ

[1] საჩუქარი ნიშნავს ღირებულების მქონე ნებისმიერ რამეს, მათ შორის და არა მხოლოდ: კონცერტებს ან სპორტულ ღონისძიებებს, პროდუქტებს, მომსახურებას, გამასპინძლებას, სასტუმროში მოთავსებას, ნაღდ ფულს, ფასდაკლებებს, საჩუქრებს, სატრანსპორტო მომსახურებას, დასასვენებლად წასვლას და გაწევრიანებას.

სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი ანტიკორუფციული პროგრამა. ადეკვატური ტრეინინგის ჩატარებისა და ინფორმაციის გადაცემის შედეგად ეს პროგრამა უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფექტურად დაცული.

3. გარემოსდაცვითი მოთხოვნები

- მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს გარემოს მართვის სისტემა, მათ შორის, მიზნები და სტანდარტები, მაგ., ISO14001 ან მისი ეკვივალენტური. მიმწოდებელმა უნდა შეამციროს მისი/მიმწოდებლის სამუშაოების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. მიმწოდებელი ვალდებულია გამოიყენოს ფრთხილი მიდგომა და ეცადოს შეინარჩუნოს და გაზარდოს ბიომრავალფეროვნება.
- მიმწოდებელი დაადგენს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების პრიოტიტეტებს და შეზღუდავს წყლის მოხმარებას, განსაკუთრებით დაზარალებულ ტერიტორიებზე.
- მიმწოდებელმა უნდა შემოიღოს მონიტორინგის პროცესი დამაბინძურებელი ნივთიერებებისა თუ ნარჩენების, მათ შორის, ელექტრონული ნარჩენების ატმოსფეროში გაფრქვევაზე, მდინარეებსა თუ ზღვებში ჩაღვრაზე და დაყრაზე. ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს სათანადოდ, ხოლო მათი გადამუშავება განმეორებით გამოყენების მიზნით – გამჭვირვალედ.
- მომწოდებელი ეცდება შეამციროს საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებისას გარემოზე ზემოქმედება. "ჯეოსელისათვის" საქონლის ან მომსახურების მოწოდებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საწვავის ეკონომიურად მომხმარებელ სატრანსპორტო საშუალებებს.
- "მიმწოდებელი" ვალდებულია რეგულარულად შეაფასოს ქიმიური ან სხვა ნივთიერებების გამოყენება და დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა მათი ნაკლებად საშიში ალტერნატივებით ჩანაცვლება. ქიმიური ნივთიერებების

გამოყენება და განკარგვა უნდა ხდებოდეს უსაფრთხოდ და სწორედ ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოზე მავნე ზემოქმედება. მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები უნდა იყოს დოკუმენტურად აღრიცხული.

- მიმწოდებელს და არც ქვეკონტრაქტორებს არა აქვს "ჯეოსელის" შავ სიაში შეტანილი საშიში ნივთიერებების გამოყენების უფლება. მიმწოდებელი ან ქვეკონტრაქტორი უნდა ეცადოს თავიდან აირიდოს "ჯეოსელის" ნაცრისფერ სიაში შეტანილი ნივთიერებების გამოყენება. თუ "ჯეოსელის" ნაცრისფერ სიაში შეტანილი ნივთიერებები ამ ეტაპზე აუცილებელია, უკვე შემუშავებული უნდა იყოს მათი ჩანაცვლების წერილობითი გეგმა.
- მიმწოდებლისთვის ძალზე სასურველია ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით სასარგებლო ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, ანუ პროდუქტის დიზაინში ეკო-ეფექტურობის საკითხების გათვალისწინება.
- ანტენების, კოშკურებისა და ანძების არქიტექტურა და ადგილმდებარეობა უნდა ითვალისწინებდეს ელექტრომაგნიტური ტალღების, ხმაურის, ხილვადობის შეზღუდვის, საკუთრების უფლებების, მისაწვდომობის, გარემოზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

4. შესაბამისობის მოთხოვნები

- "ჯეოსელის მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი" გათვალისწინებული იქნება მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე მონაწილეობა მიიღოს "ჯეოსელის" მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების პროცესში. "ჯეოსელს" აქვს უფლება ახლანდელ, მომავალ ან ყოფილ ობიექტებზე გასვლით ან კამერალურად შეამოწმოს, როგორ ასრულებენ მიმწოდებელი და ქვეკონტრაქტორები

"მიმწოდებელთა ქცევის კოდექსს" და შესაბამის მოთხოვნებს.

- მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე ჯეოსელს წარმოუდგინოს მონაცემები და ინფორმაცია წლიური ან სხვა ანგარიშებისათვის.
- მიმწოდებელთა მხრიდან "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის" მოთხოვნების არსებითი დარღვევა "ჯეოსელს" ანიჭებს უფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მიმწოდებელთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება.
- "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს "ჯეოსელს". ეს გამოყენებული არ იქნება მიმწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის წინააღმდეგ, თუ ის კეთილსინდისიერად მოქმედებდა. თუ პირი შენიშნავს ისეთ საქმიანობას ან ეჭვობს ან მას შეატყობინებენ ისეთ საქმიანობის შესახებ, რომლითაც შეიძლება ირღვეოდეს "მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი," ამის თაობაზე შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: suppliers@teliacompany.com

ჯეოსელი

საჯარო

თარიღი
2017-04-12

გვერდი
1 (4)

საიდენტიფიკაციო ნომერი
T11645-08

ვერსია
7.0

დაკავშირებული დოკუმენტი
T1874-08

მიღებულია
2017-04-12

მიღებულია
პაველ სმალინსკი

გენერალური დირექტორი

უფლებამოსილი პირი
ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

აკრძალული ნივთიერებები - „ჯეოსელის შავი სია“ [1]

კანონით აკრძალული გარკვეული ქიმიკატებისა და მასალების გარდა, შემდეგი ნივთიერებები არ უნდა იყოს ნაპოვნი ჯეოსელისთვის მიწოდებულ პროდუქტებსა და მომსახურებაში, ან ამ პროდუქტებისა თუ მომსახურების წარმოების და მათზე ხელშეკრულების დადების პროცესში. აღნიშნული ეხება მითითებული ნივთიერების ნებისმიერ განზრახ გამოყენებას, მაგრამ არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ნივთიერება შედგება დაბალი კონცენტრაციის მინარევებისაგან.[2] მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: დაკონტრაქტებისას გამოყენებული ყველა ქიმიკატი შეფასებული უნდა იყოს განცალკევებით, განსაზღვრული პროცედურებისა და რისკების შეფასების მიხედვით.

აკრძალული და შეზღუდული გამოყენების ნივთიერებები			
ჯგუფი	ნივთიერება	CAS no[3]	აკრძალული მოხმარება
	2-ბენზოტრიაზოლი-2-yl-4,6-დიტერტ-ბუტილ-ფენოლი	3846-71-7	ყველანაირი მოხმარება
	4,4'- დიამინოდიფენილმეთანი (MDA)	101-77-9	ყველანაირი მოხმარება
დარიშხანი/დარიშხანის ნაერთები[4]		რამდენიმე	ხის დამცავ ნივთიერებებში
აზბესტი		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
აზოკოლორანტები და აზოდიები, რომლებსაც შეუძლიათ დაშლა კანცეროგენულ არომატულ ამინებად[5]		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება

[1] აკრძალვა ეფუძნება გლობალურ, რეგიონულ და ნაციონალურ კანონმდებლობას, მომხმარებლის მოთხოვნებსა და მომავალ კანონმდებლობას.

[2] ჰომოგენურ მასალებში ნივთიერებათა მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია წონის მიხედვით წარმოადგენს <0,1% (კაბელებში, შემაერთებელ მილებსა და შემაერთებელ ფირფიტებში, პიგმენტი კრისტალის მინაში, ტყვიანარევ ბენზინში, პოლიმერებსა დ ელექტრო აღჭურვილობაში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული).
გამონაკლისი: კადმიუმის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია წონის მიხედვით: <0,01%.
ცემენტში ქრომისა და ბატარეებში კადმიუმისა და ვერცხლისწყლის დასაშვები კონცენტრაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით ჯეოსელს .

[3] EC ნომერი, თუ ხელმისაწვდომია.

[4] დარიშხანი და დარიშხანის ნაერთები მიკრო ელემენტის დონეზე დასაშვებია.

[5] ევროკავშირის დირექტივა 2002/61/EC.

ინფორმაცია კომპანიაზე

შპს ჯეოსელი
რეგისტრირებული ოფისი: გოთუას ქ. N3, თბილისი, 0160, საქართველო

ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ დანართებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს

	ბენზიდინი შემცველი მარილები, 4,- ამინობიფენილის შემცველიმარილები, , თიოკარბამიდი ფენილი - β- ნაფტილ ამინი	რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
	ბენზილის ბუტილ ფთალატი (BBP)	85-68-7 201-622-7 (EC)	ყველანაირი მოხმარება
	ბის (2- ეთილექსილ) ფთალატი (DEHP)	117-81-7 204-211-0 (EC)	ყველანაირი მოხმარება
კადმიუმი და კადმიუმის ნაერთები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება სპეციალური მოხმარების ელემენტების გარდა[6]
ქრომის (VI) ნაერთები	ქრომის (VI) ნაერთები: ტყვიის ქრომატი ზგადად და ქრომის (VI) ნაერთები პიგმენტებში	რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
	კობალტის დიქლორიდი[7]	7646-79-91	ყველანაირი მოხმარება
კრეოზოტი			ყველანაირი მოხმარება ხის დამცავი ნივთიერებების გარდა (ბოძები)
	დიბუტილ ფთალატი (DBP)	84-74-2 201-557-4 (EC)	ყველანაირი მოხმარება
	დიმეთილფუმარატი (DMFu)	624-49-7	ყველანაირი მოხმარება
დიელდრინი			ყველანაირი მოხმარება
	ფორმალდეჰიდი	50-00-0	ხის დამცავში [8]
ტყვია/ტყვიის ნაერთები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება გარდა ტყვიის მჟავის ბატარეებისა და ტყვიით დაფარული კაბელების ექსპლუატაციისა[9]

[6] გამონაკლისი: ნიკელ-კადიუმის ელემენტების სტაციონალურ მოხმარებაში, როდესაც სხვა ტიპის ელემენტები არ არის შესაფერისი უკიდურესი ტემპერატურის ან დატენვის პროცედურების გამო. საჭიროებს დამტკიცებას.

[7] შენიშვნა: შეზღუდულია EC № 231-589-4-ის თანახმად.

[8] ფორმალდეჰიდის დონე <0.124 მგ/მ³ ჰაერში (E1-ნორმა სატესტო მეთოდის - EN 717-1-ის თანახმად) ან <3.5 მგ/მ³ ჰაერში (შემოწმების/სატესტო მეთოდი EN 717-2).

[9] ევროკავშირის RoHS დირექტივა უშვებს <0,1% წონით კონცენტრაციას ისეთ ჰომოგენურ მასალებში, როგორიცაა კაბელები, შემაერთებელი მილები და შემაერთებელი ფირფიტები, პიგმენტები ბროლის მინაში, ტყვიის ბენზინში და დანამატები პოლიმერსა და სარჩილები ელექტრო მოწყობილობებში.
RoHS დირექტივის - 2011/65/EU III დანართში მოხსენიებული გამონაკლისები და მასში შეტანილი ცვლილებები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მანამ, ვიდრე ჯეოსელისგან სხვაგვარი ინსტრუქცია არ იქნება მიღებული. მომწოდებლებმა მიწოდებამდე უნდა შეატყობინონ ჯეოსელს მასალების მოცულობის თაობაზე

CFCs - ქლორფტორნახშირბადები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
ჰალონები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
HCFCs - ჰიდროქლორფტორნახშირბადები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
	ბრომოქლორომეთანი	74-97-5	ყველანაირი მოხმარება
	ნახშირბადის ტეტრაქლორიდი	56-23-5	ყველანაირი მოხმარება
	მეთილბრომიდი	74-83-9	ყველანაირი მოხმარება
	n-ბრომოპროპანი	106-94-5	ყველანაირი მოხმარება
	ტეტრაქლორეთილენი	127-18-4	ყველანაირი მოხმარება
	1.1.1-ტრიქლორეთილენი	71-55-6	ყველანაირი მოხმარება
	ტრიქლორეთილენი	79-01-6	ყველანაირი მოხმარება
	1,2,4-ტრიქლორობენზოლი (TBC)	120-82-1	ყველანაირი მოხმარება
ჰექსაბრომოციკლოდოდეკანი (HBCDD) და ყველა ძირითადი იდენტიფიცირებული დიასტერეოიზომერი		25637-99-4 3194-55-6 134237-50-6 134237-51-7 134237-52-8	ყველანაირი მოხმარება
იზოციანატები		რამდენიმე, მაგალითად თერმოპლასტსა და ურეთანში	ყველანაირი მოხმარება. დაშვებულია წარმოების პროცესებში
ლინდანი		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
მერკური/მერკურის ნაერთები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
პერფტოროქტანის სულფონიკის მჟავა და მისგან წარმოებული ნივთიერებები (PFOS)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
	ნონილფენოლი	25154-52-3	ყველანაირი მოხმარება
	ნონილფენოლ ეტოქსილატი (ნონილფენოლპოლიგლიცოლეთერი)	9016-45-9	ყველანაირი მოხმარება

ჯეოსელს აქვს შეზღუდული დამოკიდებულება ტყვიის გამოყენებაზე სარჩილებში, სერვერებში, საცავებში და მატრიცულ სისტემებში, ქსელის ინფრასტრუქტურის მოწყობილობებზე გადართვისთვის, სიგნალების გადაცემისათვის, ტრანსმისიისა და ტელეკომუნიკაციებისათვის. ქსელის RoHS გამონაკლისი 7b-ს გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ჯეოსელთან წინასწარ შეთანხმებულ კონკრეტულ სიტუაციებში.
ტყვიის ფირფიტების გამოყენება დასაშვებია ტყვიით დაფარული კაბელების შესაკეთებლად, თუ არ არსებობს ტყვიისგან თავისუფალი ალტერნატივა.

	ნონილფენოლეტოქსილატების ორგანოსტატური ნაერთები		ყველანაირი მოხმარება
	აკრილამიდი	1979-06-01	ყველანაირი მოხმარება
PBB – პოლიბრომირებული ბიფენილები		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
PBDE – პოლიბრომირებული დიფენილეთერები (მათ შორის deca-BDE)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება[10]
ფთალატის პლასტიფიკატორი		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
პოლიქლორირებული ბიფენილები (PCB)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
პოლიქლორირებული ნაფტალინები (PCN)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
პოლიქლორირებული ტერფენილები (PCT)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება
	მოკლე ჯაჭვზე დაქლორილი პარაფინები (C10-C13)	85535-84-8	ყველანაირი მოხმარება
	ტრის (2- ქლოროეთილ) ფოსფატი	115-96-8	ყველანაირი მოხმარება
სამჯერ შეცვლილი ორგანოსტანიკური ნაერთები (მათ შორის ტრიბუტილკალა და ტრიფენილკალა)		რამდენიმე	ყველანაირი მოხმარება

[10] რეაქტიულად დანიშნული TBBP გამონაკლისი აკრძალვიდან.

ჯეოსელი

საჯარო

საიდენტიფიკაციო ნომერი
T11647-08

ვერსია
5.0

დაკავშირებული დოკუმენტი
T1874-08 GEO

მიღებულია
2017-04-12

მიღებულია
პაველ სმალინსკი
გენერალური დირექტორი

უფლებამოსილი პირი
ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ნივთიერებები, რომელთა გამოყენება თავიდან უნდა იქნას აცილებული - „ჯეოსელის ნაცრისფერი სია“[1]

მიმდინარეობს შემდეგი ნივთიერებების შეფასება, რომელთა გამოყენებაც თავიდან უნდა იქნას აცილებული პროდუქტებსა და მომსახურებებში, ან ამ პროდუქტებისა თუ მომსახურების ჯეოსელისთვის წარმოების და მათზე ხელშეკრულების დადების პროცესში. აღნიშნული ეხება მითითებული ნივთიერების ნებისმიერ განზრახ გამოყენებას, მაგრამ არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ნივთიერება შედგება დაბალი კონცენტრაციის მინარევებისაგან.[2] გაითვალისწინეთ: დაკონტრაქტებისას გამოყენებული ყველა ქიმიკატი შეფასებული უნდა იყოს განცალკევებით, განსაზღვრული პროცედურებისა და რისკების შეფასების მიხედვით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მწარმოებელი/მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს ქვემოთ მოცემული მასალების/ნივთიერებების შემცველობა, მათ შორის, REACH კანდიდატთა სიაში მოცემული ქიმიკატები, ჯეოსელისგან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში.

ნივთიერებები, რომელთა გამოყენება თავიდან უნდა იქნას აცილებული			
ჯგუფი	ნივთიერება	CAS no[3]	შეზღუდვის მიზეზი
	4,4'- იზოპროფილდენდიფენოლი (ბისფენოლ A)	80-05-7	ტოქსიკური
	1,2- ბენზოლ-დიკარბოქსილური მჟავა, დი-C6-8-დატოტვილი ალკილის ეთერები, C7-გამდიდრებული (DIHP)	71888-89-6	REACH კანდიდატთა სია
	1,2-ბენზოლ-დიკარბოქსილური მჟავა, di-C7-11-დატოტვილი და წრფივი ალკილის ეთერები (DHNUP)	68515-42-4	REACH კანდიდატთა სია
სტიბიუმი და მისი ნაერთები		რამდენიმე	ტოქსიკური
არომატული ამინები[4]		რამდენიმე	კანცეროგენული

[1] ინფორმაციისათვის: „ნაცრისფერი სია“ ეფუძნება გლობალური, რეგიონული და ეროვნული კანონმდებლობას , მომხმარებელთა მოთხოვნებსა და მომავალ კანონმდებლობას.

[2] აღნიშნული ნივთიერებების მაქსიმალური დაშვებული ოდენობა წონით არის <0,1% ჰომოგენურ ნივთიერებებში, როგორიცაა კაბელები, შემაერთებელი მილები და შემაერთებელი ფირფიტები, პიგმენტი ბროლის მინაში, ტყვიანარევი ბენზინი, პოლიმერები დ ელექტრო მოწყობილობები, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.
აღნიშნული ნივთიერებისათვის მაქსიმალური დაშვებული კონცენტრაცია არის: კადმიუმი <0,01%.
ცემენტში ქრომისა და ელემენტებში კადმიუმისა და ვერცხლისწყლის დასაშვები კონცენტრაციის თაობაზე დამატებითი ინფორმაციისათვის, დაუკავშირდით ჯეოსელს.

[3] EC ნომერი, თუ ხელმისაწვდომია.

[4] გარდა იმ ნივთიერებებისა, რომელიც აკრძალულია 2002/61/EC-ის თანახმად.

ბერილიუმი და მისი ნაერთები		რამდენიმე	ბერილიუმის ოქსიდი : კანცეროგენული შენადნობები: შეუძლიათ ბერილიუმის ოქსიდის შექმნა გადამუშავებისას
	ბის(2-მეტოქსიეთილი) ფთალატი	117-82-8	REACH კანდიდატთა სია
ბისმუტი და მისი ნაერთები		რამდენიმე	უარყოფითია გადამუშავებისათვის
დაქლორილი პოლიმერები		რამდენიმე	შესაძლოა შექმნას ტოქსიკური ნივთიერებები გადამუშავებისას
ფლუოროკარბონები – FC		რამდენიმე	გლობალური დათბობა
ფლუოროჰიდროკარბონები – HFC		რამდენიმე	გლობალური დათბობა
ფორმალდეჰიდი		50-00-0	კანცეროგენული
ჰალოგენირებული ანტიპირენები PBB და PBDE სახეობების გარდა, რომლებიც აკრძალულია.[5]		რამდენიმე	გადამუშავებისას შესაძლოა გამოყოს ტოქსიკური ნივთიერებები
ტყვია/ტყვიის ნაერთები ზატარეებში. ზოგიერთი მოხმარება აკრძალულია.		7439-92-1	ტოქსიკური
მანგანუმი და მანგანუმის ნაერთები (და დიოქსიდი)		7439-96-5 1313-13-9	ტოქსიკური
საშუალო ჯაჭვიანი ქლორირებული პარაფინის C14-C17		რამდენიმე	ტოქსიკური
ნიკელი და მისი შენადნობები, ფოლადთან შენადნობების გარდა		რამდენიმე	ალერგენული
	აზოტის ტრიფტორიდი	7783-54-2	გლობალური დათბობა
პერქლორატები		რამდენიმე	ეტიკეტირების მოთხოვნები
ფტალატები (აკრძალულის გარდა)		რამდენიმე	კანცეროგენული
პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები (PAH)		რამდენიმე	კანცეროგენული
პოლი-ვინილ-ქლორიდი (PVC)		რამდენიმე	შესაძლოა შექმნას ტოქსიკური ნივთიერებები გადამუშავებისას + HCl ცეცხლში
რადიოაქტიური ნივთიერებები		რამდენიმე	კანცეროგენული
სელენი და სელენის ნაერთები		7782-49-2	ტოქსიკური

[6] იხილეთ ჯეოსელის „შავი სია“, T 11645-08 GEO

	ნატრიუმის დიქრომატი	10588-01-9 7789-12-0	კანცეროგენული, მუტაგენური და ტოქსიკურია გადამუშავებისას
	გოგირდის ჰექსაფტორიდი, SF6	2551-62-4	გლობალური დათბობა
	ბის-(დიმეთილპენტილი) - p-ფენილენედიამინი (77PD)		ტოქსიკური
	დიმეთილბუტილი-p-ფენილენედიამინი (6PPD)		ტოქსიკური
	ციკლო ჰექსილ თიოფტალამიდი		ტოქსიკური
	4-(1,1,3,3- ტეტრამეთილბუტილი) ფენოლი		ტოქსიკური
თერმორეაქტიული პლასტმასები (აკრილატი, ამინო, ეპიქსიდი, ურეთანი-პოლიურეთანი, მათ შორის იზოციანატები და დიიზოციანატები)		რამდენიმე	ალერგენული, კანცეროგენული და ტოქსიკური
ყველა ნივთიერება REACH კანდიდატთა სიაში, რომელიც ზემოთ არ არის მითითებული		რამდენიმე	რამდენიმე



დანართი 2.1 – ხელშეკრულების ანტიკორუფციული დებულება

ძირითადი ხელშეკრულების №

ჯეოსელის ხელშეკრულების ანტიკორუფციული დებულება

1. მიმწოდებელი და ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მიმწოდებელი იყენებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის, დასაქმებულები, აგენტები, კონსულტანტები, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი არიან:
ა) არ შესთავაზონ, შეპირდნენ, მისცენ, მოითხოვონ ან მიიღონ ნებისმიერი ქრთამი ან სხვა კორუფციული გადასახადი, მათ შორის საჯარო დაწესებულების თანამშრომლისგან;
ბ) განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ჩაიდინონ ისეთი რამ, რაც, სავარაუდოა, რომ გამოიწვევს მიმწოდებლის, მყიდველის ან ნებისმიერი მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლების/მონაწილეების (რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება აფილირებული პირებით), დირექტორების, ხელმძღვანელი პირების ან დასაქმებულების მიერ მექრთამეობასა და კორუფციასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის (შემდგომში - „კანონმდებლობის“) დარღვევას, მათ შორის:

ბ.ა) ადგილობრივი ანტიკორუფციული კანონმდებლობის

ბ.ბ) ექსტრატერიტორიული ანტიკორუფციული კანონმდებლობის, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება გაერთიანებული სამეფოს აქტით მექრთამეობის შესახებ და აშშ-ს აქტით საზღვარგარეთ კორუფციული საქმიანობის შესახებ

გ) ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით იქონიოს პროგრამა კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს შესაბამისი სწავლებისა და ტრენინგ პროგრამის განხორციელებას და სხვა გონივრულად გათვლილ ზომებს კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და აღმოჩენისათვის;
დ) მოთხოვნის შემთხვევაში დაადეკლარიროს შესაბამისი, როგორც განსაზღვრულია, პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა მიმწოდებელ საწარმოში, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს ან სხვა რაიმე სარგებელს იღებს საჯარო დაწესებულების თანამშრომელი (აღნიშნული არ ვრცელდება ანგარიშვალდებულ საწარმოებში საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული აქციების მფლობელებზე).
ე) აცნობოს მყიდველს მიმწოდებლის მიერ ხომ არ არის დასაქმებული საჯარო დაწესებულების თანამშრომელი და აგრეთვე დაუყოვნებლივ შეატყობინოს მას ამგვარი მონაცემების ცვლილების თაობაზე.
ვ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან სულ მცირე ხუთი წლის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების ან/და სახსრების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია - თანხის ოდენობის, დანიშნულებისა და მიმღების, მესამე პირის ქვითრების და ინვოისების მითითებით, სათანადოდ და ზუსტად, კანონმდებლობისა და შიდა პროცედურების შესაბამისად შეინახოს წიგნებსა და ჩანაწერებში.
ზ) ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით დაადასტუროს

ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ დანართებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს

რომ მიმწოდებელი აკმაყოფილებს კანონმდებლობისა და ხელშეკრულების ანტიკორუფციული დებულებების მოთხოვნებს;

თ) თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მყიდველის მიერ, საბანკო გადარიცხვის ან სხვა მიკვლევადი ინსტრუმენტის საშუალებით მიმწოდებლის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშზე იმ ქვეყანაში, სადაც მიმწოდებელი არის დაფუძნებული ან იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა ხელშეკრულების საგნის მიწოდება;

ი) დაუყოვნებლივ აცნობოს მყიდველს თაღლითობის, მექრთამეობის ან კორუფციის ან უკანონო საქმიანობის გამო მიმწოდებლის წინააღმდეგ სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამგვარი ბრალდებების გამო მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კ) კანონმდებლობის დარღვევის ან დარღვევის საფრთხის შესახებ მყიდველის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს მყიდველთან და მის წარმომადგენლებთან ამგვარი დარღვევის არსებობის/არარსებობის დასადგენად;

ლ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან სულ მცირე ხუთი წლის განმავლობაში, ადგილობრივი კანონმდებლობით ან/და რეგულაციებით დაშვებულ ფარგლებში, მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის საწარმოო ან სხვა სათავსებში ან/და მყიდველის საწარმოო ან სხვა სათავსებში ჩაატაროს აუდიტი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, როგორიცაა გადახდის და ანგარიშფაქტურის გამოწერის, ხელშეკრულების საგნის რაოდენობის და ხარისხის და დაკავშირებული პროცესების, კონფიდენციალური ინფორმაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის ჯეროვანი შესრულების დადგენის მიზნით. აუდიტი უნდა ჩატარდეს აღნიშნულის თაობაზე 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე. მყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს აუდიტი მიმწოდებლის მოკლე დროით - 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზეც, თუ აშკარა შემთხვევა ბადებს ეჭვს მიმწოდებლის მიერ ამ დებულების მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

მ) აუდიტი უნდა ჩატარდეს მყიდველის თანამშრომლების ან მყიდველის მიერ დაქირავებული პროფესიონალი მესამე მხარის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მიერ დაქირავებული მესამე მხარე დაიცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას მიმწოდებლისათვის გონივრულად მისაღებ ფარგლებში. მყიდველმა უნდა გაიღოს საკუთარი ინიციატივით ჩატარებული აუდიტის ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუდიტის შედეგად აღმოჩენილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, რომელიც არ არის უმნიშვნელო. ასეთ შემთხვევაში აუდიტის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

2. თუ მყიდველი ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობით ეჭვობს ან აღმოაჩენს, რომ მიმწოდებელმა დაარღვია ამ დებულების რომელიმე პირობა, ამგვარი დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევად და მყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდა ან შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რაც არ ჩაითვლება მყიდველის ამ ხელშეკრულებით ან კანონით

ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ დანართებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს

203841940

გათვალისწინებულ უფლებებზე უარის თქმად. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი დარღვევა მყიდველს აყენებს პოტენციური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე, ხელშეკრულების შეჩერება ან/და შეწყვეტა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, მიმწოდებლისათვის შეტყობინებისთანავე, ხელშეკრულებაში ამგვარი დარღვევის აღმოფხვრის უფლების არსებობის მიუხედავად.

3. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულების საგნის მიწოდებასთან რაიმე კავშირში მყოფი ნებისმიერი გარეშე ფიზიკური ან იურიდიული პირი მოქმედებს მხოლოდ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც იღებს ვალდებულებას შეასრულოს მიმწოდებლის მიერ ამ დებულებით ნაკისრი წესები და პირობები. მიუხედავად ზემოთქმულისა, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული პირების მიერ წესების და პირობების დაცვა და შესრულება და ნებისმიერი დარღვევისათვის მყიდველის წინაშე პასუხს აგებს უშუალოდ.

4. მიმწოდებელმა მყიდველს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ დამფუძნებლებს/მონაწილეებს (რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება აფილირებული პირებით, გარდა ანგარიშვალდებულ საწარმოებში საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული აქციების მფლობელებზე), დირექტორებს, ხელმძღვანელ პირებს და დასაქმებულებს უნდა აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მათ განიცადეს, მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ამ დებულების დარღვევის შედეგად დაკისრებული ნებისმიერი სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი ჯარიმის/საურავის სახით.

5. ამ დებულების მიზნებისათვის, „საჯარო დაწესებულების თანამშრომელი“, დამატებით შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფრო ფართო განმარტებისა, ნიშნავს:

ა) სამთავრობო დაწესებულების ან დეპარტამენტის (აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული) ხელმძღვანელ პირს, წევრს ან დასაქმებულს

ბ) სამთავრობო დაწესებულების სააგენტოს (მათ შორის, რეგიონული სამთავრობო ორგანოების, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოების და საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების) ხელმძღვანელ პირს, წევრს ან დასაქმებულს

გ) სამთავრობოს დაწესებულების, დეპარტამენტის, სააგენტოს ან საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის ოფიციალური უფლებამოსილებით ან სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს

დ) პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი

ე) პოლიტიკური ან სამთავრობო უწყების კანდიდატს ან ასეთ უწყებაში დანიშნულ პირს

ვ) მთავრობის ხელმძღვანელი პირი ან დასაქმებული, ქვეყნის, სახელმწიფო/რეგიონულ, ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე

ზ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოს, სკოლის, საავადმყოფოს ან სხვა დაწესებულების ნებისმიერ დასაქმებულ პირს

ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ დანართებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს

	სახელი გვარი	ხელმოწერა
1. ინიციატორი	თ. გომარელი	
2. იურისიული დეპარტამენტის უფროსი	კ.ყურაშვილი	
3. ფინანსური დირექტორი	ლ. ფშავლიშვილი	
4. საოპერაციო მიმართულების დირექტორი	ნ.კავთიაშვილი	
5. უძრავი ქონების მართვის სამსახურის უფროსი	ს.კახნიაშვილი	
6. სხვა აუცილებელი სამსახურ(ებ)ი	_____	